

**სატენდერო ფაილი / ტენდერის პირობები**  
**(ერთჯერადი კონტრაქტი)**

**საკონსულტაციო მომსახურება პროექტის საბოლოო შეფასებისთვის**  
**კონტრაქტის ნომერი N° UNW-ECA-CFP-2020-002 (00119418)**

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR) 2021 წლის 30 ნოემბრამდე ახორციელებს მიმდინარე პროექტს „გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გზით“, პროექტი დაფინანსებულია UN WOMEN-ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისის და UNFPA-ს მიერ. პროექტის ფარგლებში ცენტრი ეძებს პროექტის საბოლოო შეფასებისთვის საკონსულტაციო სერვისის მიმწოდებელს.

**ტენდერის წესები**

აღნიშნული სატენდერო პროცედურა ძალაშია 23 კალენდარული დღის განმავლობაში, წარდგენის დასრულების დღიდან. ტენდერის მონაწილეთა შერჩევა მოხდება ქვემოთ მითითებული კრიტერიუმების გათვალისწინებით. ყველა მონაწილეს წერილობით ეცნობება პროცედურის შედეგები.

ტენდერის განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ელექტრონული ფოსტით ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, სათაურის ველში შემდეგი მითითებით: CCIIR-ის ტენდერი პროექტის შეფასებისათვის. სატენდერო განაცხადები, რომლებიც გამოგზავნილი იქნება სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არ განიხილება. ამ პროცედურის შესახებ ზოგადი და საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია ამ განაცხადში.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მითითებული CCIIR საკონტაქტო ინფორმაცია ნებისმიერი შეკითხვისთვის. ყველა შეკითხვა წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაამდე არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე ექსკლუზიურად ქვემოთ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, შემდეგი მითითებით სათაურის ველში: კითხვები ტენდერზე CCIIR-ის პროექტის შეფასებისთვის.

კონტრაქტის ტიპი	ერთჯერადი კონტრაქტი
ხანგრძლივობა	მხარეთა ვალდებულებების სრულ შესრულებამდე
სატენდერო განაცხადის/წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა	08 ნოემბერი, 2021
ელ.ფოსტა სატენდერო წინადადებების წარდგენისათვის	Ellene.jajanidze@gmail.com
ელ.ფოსტა შეკითხვების დასმისათვის	Ellene.jajanidze@gmail.com

## **შეფასება**

სატენდერო პრეტენდენტები გამოირიცხება სატენდერო პროცედურაში მონაწილეობისგან, თუ ისინი:

- ✓ თუ ისინი ნასამართლევი არიან ქვემოთ მოცემულ ერთ ან მეტ ბრალდებაზე: კრიმინალურ ორგანიზაციაში მონაწილეობა, კორუფცია, თაღლითობა, ფულის გათეთრება.
- ✓ რომელთა მიმართაც გამოვლინდა დანაშაული, რაც გავლენას ახდენს მათ პროფესიულ ინტეგრირებას ან სერიოზულ პროფესიულ გადაცდომებზე;
- ✓ არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სოციალური უზრუნველყოფის შენატანების, გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით ქვეყნის ნორმატიული დებულებების შესაბამისად;
- ✓ არიან ან სავარაუდოდ არიან ინტერესთა კონფლიქტში.

## **დაშვების კრიტერიუმები**

- ✓ საუნივერსიტეტო ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, პროექტების მენეჯმენტში ან მასთან დაკავშირებულ სფეროში;
- ✓ უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატებს, რომელთაც აქვთ გამოცდილება საერთაშორისო თანამშრომლობის კონტექსტში შეფასებების შემუშავებაში, მართვასა და ხელმძღვანელობაში ან/და მონიტორინგისა და შეფასების სისტემების ჩამოყალიბებაში.

## **წარმოსადგენი დოკუმენტები**

ტენდერში მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- ✓ CV-რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაახელებულ სფეროში გამოცდილების ქონისა და შესაბამისი განათლების შესახებ.

**დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.**